ტფილისი

№ 133
ივნისის 26, ოთხშაბათი, 1902 წ.
1877

# ივერია

№ 133
ივნისის 26, ოთხშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## პირველ ივლისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
## „ივერია“

ღირს ექვს მანეთად. (6. მ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

**ქუთაისში:**—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:** მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).

**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ.,ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

## საკერავი მაშინები

## ნამდვილი „ზინგერისა“

## ძმ. რ. და მ. ედელსონისა და მ. კუპერმანის

სკლადში იყიდება სხვა-და-სხვა ფაბრიკების მაშინები ტფილისში, ნიკოლოოზის ხიდზე, №№ 7—8. ფასები გადაჭრილია. სკლადის განყოფილება იმყოფება: ბაქოში, ერევანში, ალექსანდროპოლში და მიხაილოვში. (3—365—2)

## ღვთის-მოყვარულთა ქრისტეანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა ავაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ.

ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

**ჩემი ადრესი:**

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.
(10—უ.—4)

**კბილის ექიმი**

**ივანე პავლეს ძე**

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ **როინაშვილისეულ ფოტოგრაფიისთვის**, რომელიც ღირს-ქმნილია უმაღლეს იმპერატორებრივ ჯილდოსი, მოწვეულია ახალი გამგე. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ ფოტოგრაფიულის სურათისა, რომელიც თავისს დროზე და გულმოდგინებით მზადდება. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია, ხოლო მოსწავლეთათვის შეღავათიანი. ფოტოგრაფიას, რომელიც ყოველდღე ღია არის დილის 9 საათიდგან საღამოს 5 საათამდე, მრავლად მოეპოვება მუშტართათვის საქართველოსა და კავკასიის შესანიშნავის ადგილებისა, ტიპებისა, მოღვაწეთა და ძეგლთა სურათები. (10—8)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**

## სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიძი.
(6—19)

**ვექილი**

## ა. მ. ახნაზაროვი

**გადავიდა**

ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში, № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.

ნახვა შეიძლება: დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე. (10—5)

**ქართველ ქალთა**

## ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჭრავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

## ისყიდება ვერაზედ

სამ-სართულიანი სახლი, რომელსაც ბანკის ვალიცა აქვს.

ვერაზედვე, სათავად-აზნაურო სკოლის შენობის გვერდით, ისყიდება მამული, დაყოფილი ნაჭრებად, თითოეული 100, 200 და 300 ოთხ-კუთხი საჟენი. პირობათა შეტყობა შეიძლება „ივერიის“ რედაქციაში.
(10—5).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

დედათა საქველ-მოქმედო წმ. ნინოს საზოგადოების თელავის განყოფილების მმართველობა ამით აცხადებს, რომ ხელ-მეორედ გამოცდა თელავის დედათა წმ. ნინოს სასწავლებლის შეგირდებისა დანიშნულია წელს 24 და 26 აგვისტოსათვის; ხოლო მისაღები გამოცდა დანიშნულია 27 და 28 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 2 სეკდემბერს. ფასი სწავლებისათვის და თითოეულის შეგირდის სრულს ხარჯზედ შენახვისათვის პანსიონში 190 მან., ნახევარ ხარჯზედ 100 მან. სწავლების ფასი გარეშე მოსიარულეთათვის 40 მან. წელიწადში. ეს ფასი უნდა გადახდილ იქმნას წინ-და-წინ ორ ვადაზედ, 1-ლ სეკდემბერს და 1-ლ იანვარს. (1—6.—1).

„**წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის გამგეობა**“ ამით აცხადებს, რომ კვირას, ამ წლის 30 ივნისს, დილის 11 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველი საგნებია:

ა) წინა წლების ანგარიშების დამტკიცება;
ბ) 1902 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა;
გ) გამგეობის მოხსენება განსვენებულ გ. ე. წერეთელთან დადებულ პირობის შესახებ;
დ) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის პირობის § 10-ის შეცვლის შესახებ;
ე) გამგეობის, სარედაქციო და სარევიზიო კომისიების წევრთა არჩევა;
ვ) ახალ წევრთა მიღება. (3—6.—1)

## გორში

**ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი**

იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**კ. ი. გძელიშვილი.** 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**გ. ა. თარხანოვი.** 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**მ. ი. იანჩევსკი:** ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოც-და-თხუთმეტი (55) ვაკანსია არის: ორმოცი (40) პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და თხუთმეტი მეორეში (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

55 ვაკანსიიდან—46 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის, ექვსი პანსიონში თავიანთ საკუთარ ხარჯზე (წელიწადში ოცი თუმანია გადასახადი) და 2 საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

საზოგადოების სრულს ხარჯზე ჯერ. არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანცელარიისაგან**, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსათვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს, 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 23—27 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28-ში მეორე განყოფილებაში მისაღები ეგზამენები. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1902—1903 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც. (10—1)

**ტფილისი, ივნისის 26.**

ეს რამდენიმე დღეა, რაც ქართულმა გაზეთებმა გვამცნეს, რომ საქართველოს ეგზარხოსის ბრძანებით უნდა შესდგეს კრებული ქართულ საგალობლებისა, რომელიც მიღებულ უნდა იყოს სახელმძღვანელოდ სკოლებში ყრმათა მიერ საგალობლების შესასწავლად; ამ საგნისათვის უკვე შემდგარა კომისია ეპისკოპოზ დიმიტრის თავმჯდომარეობით, რომელსაც დავალებული აქვს ეს საქმე აღსრულებაში მოიყვანოს.

თუ რამდენად სასიამოვნო და სასურველია ეს ამბავი ყველა ქართველისათვის, ამაში ეჭვი არ არის, ამას ყველა იგრძნობს, ვისაც გული გულის ალაგასა აქვს. საუბედუროდ, ბოლო აგვირგვინებს ყველა ჩვენ საქმეს; მრავალჯერ ეს ჩვენი განუსაზღვრელი ამ თავითვე სიხარული სამგლოვიაროდ შეგვქმნია და ვითომდა ჩვენს ბრწყინვალე ბედს „ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაჰფარებია“. არ ვიცით, ეს ბუნებიდგანვე დაწესებულია, თუ როგორ, მაგრამ ხშირად-კი გვინახავს, რომ რაც უნდა პატივსაცემი და კეთილი რამ საქმე იქმნას დაწყობილი, ბოლოს იგი მალე აუხვევს ხოლმე სწორე გზას.

მაშასადამე, ჩვენის ხალხის მოღვაწე ამ საქმეშიაც რომ სინანულში არ ჩავარდეს, სასურველია, რომ ხსენებულ კრებულის შემდგენთაც გაითვალისწინონ, რა ნიადაგზედ უნდა დამყარდეს ეს ფრიად რთული პირველი ნაბიჯი საგალობლების სახელმძღვანელოებისა ქართულ სკოლებში.

სიმღერა-გალობა ერთი უმთავრესი ძარღვია, რომელზედაც ფუძნდება კაცის ესტეტიური და ზნეობრივი განვითარება. მოსიყვარულე, ტკბილად მოალერსე დედა ნაზის ხმით თავის პირმშო შვილს, მუხლებზედ ანგელოზებრ მომღიმარეს, ჩასცქერის თვალებში.

მათი მფარველი ანგელოზი ეტრფის ფარულად „და დაჰფრენს მათ ნიავი შურით და მტრულად“; გაისმა ნაზი ხმა და ჩამოიკრა დედის გულში ჰანგზედ მომართული სიმები: მამულისათვის, შვილო, სიკვდილს ნუ დაიზარებ... ნანა, შვილო, ნანინა!

აი, აქ ჩაიყარა საძირკველი ქველობისა, ვაჟკაცობისა, პატიოსნებისა, იმ პატიოსან გრძნობისა, რომელმაც უნდა გაუწოდოს ხელი ყოველ დავრდომილს გაჭირვებაში და მოსწმინდოს მწარე ცრემლი თავის მოძმეთ გაუკუღმართებულ ბედ-იღბლისა. ეხლა ვაჟკაცობაშიაც-კი ყოველთვის სანატრელი და სასიამოვნოა ის წარსული ხმები. ერთი მოგო-

ნება გადასტყორცნის მთელის კაცის არსებას იმ საუკუნოდ წარსულს, დაუბრუნებელს ყრმობის დროს და რა განუსაზღვრელ სიამოვნებას ჰბადავს გულში: უნდა მოჰხვიოს მთელს ქვეყანას ხელი და მიიკრას გულს...

ამ ნაირად, სიმღერა-გალობა განამტკიცებს ყრმათა აღზრდაში ზნეობრივ და ესტეტიურ გრძნობას; აპატიოსნებს და ამაღლებს სულს და აღავსებს სიხარულითა და სინათლით, აღვიძებს ყრმის გულში ეროვნულ თვით-შეგნებას; მასთანავე აორკეცებს მის ჭეშმარიტ პატრიოტულ გრძნობას. სიმღერა-გალობა, არამც თუ დროშაა ერისა, არამედ თვით შეგნებაც თავის არსებობისა. სიმღერა არა ერთხელ აღაფრთოვანებს კაცის მიძინებულ გრძნობას და აბედვინებს დიადს საქმეს. ყოველს დიპლომატიაზედ მარჯვედ მას უფრო შეუძლიან შეჰკრიბოს ერთ დროშას ქვეშ ჟამთა ვითარებისა და ბედისაგან დაქსაქსულნი და ერთმანეთისაგან დაშორებულნი მოძმენი.

ეს არის ჩვენი აზრი სიმღერა-გალობაზედ და ეს უნდა დაედოს სარჩულად იმ ზემოხსენებულ საქმეს, თუ სურს ვისმე, რომ ხალხს სიმღერა-გალობამ სამსახური გაუწიოს.

მაშასადამე, საგალობლების სახელმძღვანელოს შედგენას დიდი სიფრთხილე ესაჭიროება; შემდგენელის არამცთუ ყური უნდა ისმენდეს ქართულად, არამედ იმის გულის-ყურიც-კი ქართულად უნდა მუშაობდეს. ყოველ ამ გრძნობათა გუნდში ხელმძღვანელად მუსიკისა და საქმის ცოდნა უნდა იყოს, თორემ რწმენა უსაქმოდ მკვდარია. საქმე ის არის, რა გვარნი მცოდნენი მიიღებენ მონაწილეობას ამ კრებულთა შედგენაში. კარგად მოგეხსენებათ ამ ბოლოს დროს მეტიჩრობა ყველგან გამეფდა ხელოვნებასა თუ ლიტერატურაში; კერძოდ მუსიკაში შესამჩნევად იჩინა თავი ამ არა სასურველმა გარემოებამ: საკმარისია, იცოდე ხუთ ხაზზედ შეიდი ნოტის დაწერა-გამოხატვა და ამით გათავდა მუსიკის განვითარება, მაშინ როცა ბერძნულ ჰარმონიის ცოდნას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ სიმღერა-გალობის შესწავლაში, ვიდრე ზეპირად გალობის თქმას. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ბერძნულ ჰარმონიას ქართულ ერის საგალობლებში, ამის დასამტკიცებლად მოგვყავს წერილი პეტერბურგის სასახლის გუნდის გამგის ბ-ნ სმოლენსკისა, *) მოწერილი ბ-ნ კლენოვსკისთან, როცა ეს უკანასკნელი დაინიშნა იმის ხელქვეითად: „ნიკოლოოზ სვიმონის ძევ, თქვენ მიერ შემუშავებულ ქართულ გალობას რუსულის სიტყვებით უკვე გალობს კაპელლა და დიდადაც მოსწონთ. ამ მოწონებას ის აორკეცებს, რომ ლიდიური და ფრიგიული ჰარმონიები ესე ხელოვნურად არის ერთმანეთში გადაწნული. რა მშვენიერებაა, რა დიდებაა ამ საგალობლებში. ამ ძველებურს ჰარმონიებზედ აგებულს ქართულ ჰანგებს კაცი ლოცვის გუნებაზედ მოჰყავს და კიდევ უნდა, რომ იწამოს მუსიკის განუსაზღვრელი შემოქმედება“.

პირადად ჩვენთვის ამ წერილის ავტორი საეკლესიო გალობაში ავტორიტეტია და ვრწმუნდებით, რომ ყველა ამ ასპარეზზედ მოღვაწე აღჭურვილი უნდა იყოს მუსიკის ცოდნით. მხოლოდ ცოდნას შეუძლიან გამოააშკარაოს ის, რაც მუსიკის არ ცოდნით ამახინჯებს გალობის ჰანგების სიწმინდეს. მაგალითად: განა, რა სასიამოვნო იქნება, რომ კრებულში მოთავსებული იქმნას ახლანდელი ოთხ-ხმოვანი ვითომდა ქართული გალობა, ან კიდევ ის „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ“ კამარინსკის ჰანგზედ, რომელსაც სამრევლო სკოლაში ასწავლიდნენ ბავშვებს, ვითომ-და მუსიკის მცოდნენი. ვიმედოვნებთ, რომ საგალობლების შემდგენელნი ამისთანა ხიფათს მხარს აუქცევენ და სახელოვნად დააგვირგვინებენ ამ სასურველ საქმეს.

# ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ტფილისის მაზრის უფროსმა მიაკვლია იმ ავაზაკთა კვალს, რომელნიც თავს დაესხნენ ამას წინად მამა ანტონის მონასტერს მარტყოფში. ავაზაკნი სულ 12 კაცნი იყვნენ. ამ ჟამად უკვე დაპატიმრებულნი არიან: შემოქმედის მცხოვრები გურული ვინმე მამულაიშვილი და იქაურივე მცხოვრები ილიკო მგელაძე, მასწავლებლად ნამყოფი საეკლესიო-სამრევლო სკოლისა შორაპნის მაზრაში და რაღაც დანაშაულისათვის ღირსება-აყრილი და აკეთის მცხოვრები, გურულივე, გვარად ვინმე შანუქვაძე. ავაზაკთა შორის სამნი გაქცეულან: თავართქილაძე, ცეცხლაძე და თოიძე. დანარჩენ ექვსსაც დაეძებენ. საქმის გამოძიება მინდობილი აქვს ტფილისის ოლქის სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს ილიაშენკოს.

◆ ჩვენს რედაქციას მოსდის წერილები ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის წევრთაგან, რომელნიც საყვედურს აცხადებენ, რომ ამხანაგობის კრება მაისში-კი არ დაინიშნა, როცა უმრავლესობა ამხანაგთა ქალაქში იყო, არამედ ივნისის გასულს, როცა ქალაქში აღარავინ არისო. რაკი მაისში არ დანიშნეს კრება, სასურველი იყო, რომ ენკენისთვისათვის გადაედოთ, როგორც დაგვპირდა გამგე ამხანაგობისა შარშანდელ კრებაზედ, 22 აპრილსაო. ენკენისთვეში ბლომად ჩამოიკრიბებიან ამხანაგნი ტფილისში და კრებასაც ბევრნი დაესწრებიანო.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მიუმართავს მთავარ-მართებლისათვის შემდეგის თხოვნით: რადგანაც ინჟინერის მაევსკის მიერ შემუშავებული პროექტი მუღანის უდაბნოს შესახებ ადვილად განსახორციელებელია და სასურველიც მთავრობის განზრახვის მისაღწევად, ამიტომ სთხოვს მათს ბრწყინვალებას, იშუამდგომლოს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო სამინისტროს წინაშე, რათა განხორციელდეს მაევსკის მიერ წარმოდგენილი პროექტი და ამასთანავე მიეცეს ნება საზოგადოებას იყოლიოს ორი წარმომადგენელი კავკასიის მირაბთა კრებაზედ.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ბ-ნი ზარაფიშვილი სწერს თელავიდამ: რადგანაც ამ ბოლოს დროს თელავის მაზრის ვენახებში შესამჩნევად იჩინა თავი ნაცარმა და საფიქრებელია, რომ გოგირდი და შაბიამანი, რაც გვაქვს საწყობში, დაგვაკლდესო, ამისათვის საჭიროა უშოვოთ ხალხს გოგირდის საბერველი მაშინებიო; სამწუხაროდ, ეს მაშინები არამც თუ საზოგადოებას არა აქვს, არამედ ტფილისშიაც-კი არსად იშოვება.

◆ ორშაბათს, 24 ივნისს, დანიშნული იყო ქალაქის საბჭოს კრება. კრებას განსახილველად ჰქონდა 40-მდე საქმე. თუმცა ეს კრება უნდა ყოფილიყო საზაფხულოდ უკანასკნელი, მაგრამ მაინც ჩვენმა პატივცემულმა ხმოსნებმა არ ინებეს მობრძანება, რის გამოც კრება არ შესდგა.

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების ქალთა განყოფილების თავმჯდომარე კნ. მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა გაზ. „კავკაზის“ საშუალებით მადლობას უძღვნის ბ-ნ დ. ზ. სარაჯიშვილს იმ ათის თუმნისათვის, რომელიც მას შეუწირავს დასარსებლად განზრახულ ღუდათა სკოლის სასარგებლოდ. დავიჯეროთ, ამ მადლობის გამოცხადება რომელსამე ქართულ გაზეთში-კი არ მოხერხდებოდა?! ანდა, სულ-თუ „კავკაზის“ მკითხველებისათვის უფრო საინტერესოა ეს ამბავი, ვიდრე იმ საზოგადოებისათვის, რომელიც ქართულს გაზეთს კითხულობს!

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკში, 22 ივნისს მოხდა საჯარო ვაჭრობა იმ მამულებისა, რომელთა პატრონებმა არ შეიტანეს გარდასახადი. დანიშნული იყო გასაყიდად 19 მამული ქ. ტფილისისა; ამათში გაიყიდა მხოლოდ ცამეტი:

| საx. და გვარი | თავ. ვალი მ. კ. | შესატ. მ. კ. | გაიყიდა მ. |
|---|---|---|---|
| მანიევი ე. ი. | 16847—73 | 697—67 | 18,280 |
| ჭრელაშვ. ს. თ. | 54486—04 | 2124—50 | 56,765 |
| საბო ვ. ა. | 4824—65 | 185—28 | 6,800 |
| ლიტოვსკი პ. მ. | 224—64 | 39—10 | 785 |
| სტეფანოვი გ. პ. | 358—05 | 54—28 | 526 |
| სტეფანოვი გ. პ. | 2740—03 | 193—85 | 3,320 |
| ყაკოვიჩი ი. გ. | 2466—81 | 122—48 | 2,610 |
| ჯალალოვი ი. გ. | 15950—88 | 617—61 | 19,300 |
| ზანდუკელი ო. კ. | 16230—25 | 246—13 | 8,650 |
| კოშორიძე ს. ა. | 2062—69 | 97—82 | 2,910 |
| კონიევი ზ. ი. | 8041—40 | 344—62 | 12,115 |
| ტერ-სარქის. შ. მ. | 18948—09 | 877—50 | 20,000 |
| სარდინი ი. ი. | 1286—84 | 56—52 | 1,575 |

დარჩა ექვსი მამული, რომელიც გაიყიდება 13 ივლისს.

| | | | |
|---|---|---|---|
| ოსიპოვი ა. ს. | 9728—11 | 375—12 | |
| ვოლკოვი ნ. ს. | 15976—30 | 556—59 | |
| ჯალალოვები ა. და გ. გ. | 7975—44 | 299—76 | |
| სარიბეგოვი ა. ზ. | 3932—27 | 198—90 | |
| აროუთინოვი პ. პ. | 4135—42 | 160—27 | |
| მელიქ-ალავერდოვი მ. ბ. | 1566—79 | 67—24 | |

24 ივნისს გაიყიდა სხვა-და-სხვა ქალაქის შემდეგი მამულები:

| სახელი, გვარი და ქალაქი | თავ. ვალი | შესატ. | გაიყიდა |
|---|---|---|---|
| ქუთაისისა: | | | |
| კეკელიძე ვ. პ. | 1806—21 | 107—85 | 1,941 |
| გაბაშვილი ი. გ. | 7992—58 | 372—64 | 12,000 |
| ერისთავი ა. ა. | 7706—20 | 360—86 | 12,000 |
| გოგოლაშვილი | 1117—24 | 60—41 | 1,440 |
| ფოთისა: | | | |
| ლამბაროვისა კ. ვ. | 851—16 | 65—80 | 1,000 |
| როგოჟინი ნ. პ. | 531—36 | 67—52 | 2,400 |
| თელავი: | | | |
| ჯორბენაძე ზ. მ. | 642—20 | 54—46 | 1010—25 |
| ქავჭავაძე-მაყაევისა | 6841—64 | 337—14 | 10,550 |
| ბათუმი: | | | |
| სანაძე გ. მ. | 1699—19 | 100—91 | 2,002 |
| მესროფოვი ი. ა. | 6912—71 | 447—59 | 8,295 |
| ბორჯომისა: | | | |
| თაიროვი ა. ბ. | 4478—41 | 238—98 | 7,151 |
| გორისა: | | | |
| იონესიანცი ტ. ს. | 881—17 | 58—57 | 1,961 |
| ზაზუნოვები ა. და ს. | 1834—80 | 92—70 | 1,962 |
| ბაქოსი: | | | |
| მირ-იბრაჰიმ-სეიდ-მირზა-ოღლი | 23651—78 | 1147—95 | 37,000 |

სოფლის მამულების საჯარო ვაჭრობა დანიშნულია დღეისათვის.

# ჩვენებური ამბები

ჩვენ მოგვივიდა ქუთაისიდან ორ წიგნაკად დაბეჭდილი ანგარიში წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის მოქმედებისა. პირველს წიგნაკში მოთავსებულია ანგარიში 1899 წლის 1 იანვრიდან 1900 წლის 11 ივნისამდე; ხოლო მეორე წიგნაკში—1900 წლის 11 ივნისიდან 1902 წლის 1 იანვრამდის.

ამხანაგობას ამ ჟამად ჰყავს სულ 96 წევრი. ამხანაგობას 1900 წლის 11 ივნისიდან 1902 წლის 1 იანვრამდე დარჩენია წმინდა მოგება მხოლოდ 70 მან. 33 კაპ. ამხანაგობის მმართველია გრ. ი. გველესიანი, ხაზინადარი თ. ა. მთავრიშვილი, გამგე დ. ნ. ავალიანი, მდივანის მაგიერი დ. ნ. ავალიანი.

—

**ქუთაისი.** ქუთაისის სამეურნეო სკოლაში მასწავლებლების კურსები დაიწყო 21 ივნისს. სკოლის სადგომში მთავრობის თანადასწრებით პარაკლისი იქმნა გადახდილი. კურსებზე ჯერ სულ 17 კაცია. კურსები გასტანს 10 ივლისამდე. სკოლის მმართველი დროებით რუსეთში აპირებს წასვლას; მის მოადგილეთ ნ. თ. მკურნალი დარჩება. სკოლის ბაღში ყურძნის მოსავალს შედარებით კარგს მოელიან; ერთი ჯურა ყურძნისა უკვე შეთვალებულია.

—

**სოფ. ქვიშხეთი** (გორის მაზრა). 22 ამ თიბათვეს სოფ. ქვიშხეთში ქ-ნ ნინო ყიფიანისა და ნ. კანდელაკის მეთაურობით გაიმართა განსაკუთრებით გლეხებისათვის უფასო სახალხო წარმოდგენა. წარმოდგენის მოთავეებმა მოიწვიეს ქვიშხეთისა და ყველა მახლობელ სოფლის გლეხები ოჯახობით. ზოგი დაპატიჟებულთაგანი სრულიად ურს აცხადებდა, ზოგი ამბობდა: „ვინ გვაჩვენებს უფულოდ, შენი ჭირიმე, წარმოდგენას, უნდათ შეგვკრიბონ და მერე ფული გადაგვახდევინონ“; ზოგი-კი თავაზიანად ისტუმრებდა დამპატიჟებელს: „დაღლილი ვარ, შენი ჭირიმე, თორემ არ დაგზარდებოდით“. წარმოდგენას მაინც დიდძალი ხალხი დაესწრო. წარმოდგენილ იქმნა: „დატრიალდა ჯარა“. ხალხს აჩვენეს ბევრი სხვა-და-სხვა შინაარსის ბუნდოვანი სურათი. ბოლოს ბ-ნმა ალ. ცომაკურიძემ წაიკითხა რამდენიმე ხალხისათვის გასაგებად დაწერილი ლექსი. ხალხი მეტად ნასიამოვნები დარჩა წარმოდგენით. დიდის მადლობის ღირსნი არიან ქ-ნი ნინო ყიფიანისა და ბ-ნი კანდელაკი, რომელნიც ხალხის გათვითცნობიერებისათვის არც ხარჯს და არც შრომას არ ერიდებიან.

—

**ბათუმი.** შაბათს, 22 ივნისს, 40 მილის დაშორებით ბათუმიდამ, დილის ოთხ საათზედ, ქარიშხალმა დაჭყლიტა შავ ზღვაში ბარჟა-სახიდი გემი სახელად „რაბოტნიკი“. შიგ მსხდომნი გადასხდნენ ნავებზედ და თავს უშველეს.

—

**პანკისი** (თიანეთის მაზრა). მთის სკოლების ინსპექტორის ბ. ე. მამინაიშვილის დავალებით წარსულის თვის მაისის 26 ჩვენს სკოლაში მობრძანდა მ. მ. ხელაშვილი ბავშვების გამოსაცდელად. მოსწავლენი აპრილის გასულიდამვე სწავლას თავდანებებულნი იყვნენ, როგორც ამაზედ ადრევაც გვქონდა ნათქვამი, რადგანაც ამ დროიდგან მოუხერხებელი ხდება მათი სკოლაში სიარული სხვა და სხვა საშინაო საქმეების გამო. თხოვნისამებრ მღვდლისა და მასწავლებლისა ბავშვების მშობლებმა აღარ გაგზავნეს თავიანთი შვილები მინდორში საქმეზედ და მეორე დღეს შეკრიბნენ სკოლაში, თუმცა სრულად-კი არა, მაინც საკმარისად და ზოგნიც იმ დღეს მოაქუჩეს თითოობით მინდვრიდგან. მიუხედავად იმისა, რომ შეგირდები თითქმის ერთის თვის სწავლას თავდანებებულები იყვნენ და ზოგი გუთანსა, ზოგი ცხვარსა, ძროხასა და სხვა ამისთანა საქმეზედ გართული

---

*) ბ. სმოლენსკი ერთ დროს პროფესორადაც იყო მოსკოვის კონსერვატორიისა და მოსკოვშივე დირექტორად გალობის სასწავლებლისა, სადაც მოსწავლენი ლოტბარნი გამოდიან.

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## საქართველო მე-XII საუკუნეში

### დიმიტრი I და დავით III.

I

ბრძოლა მტრებთან

დიმიტრის მეფობაზე, რომელიც გაგრძელდა 1125 წლიდგან 1155 წლამდე, ჩვენი ქართული მატიანე თითქმის არავითარს ცნობას არ იძლევა და თუ რამდენიმე ფაქტი ვიცით იმის დროისა, ეს სომხის ისტორიკოსების წყალობით. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ დიმიტრის მეფობის ისტორია იქნებოდა დაწერილი თავისს დროზე, მაგრამ იგი დაკარგულა, ან მოსპობილა რამე მიზეზით.

პირველი ფაქტი დიმიტრის მეფობის დროსი არის ანის ქალაქის დაჭერა, რომელსაც ასე მოგვითხრობს თანამედროვე სომხის ისტორიკოსი თვით ანის მცხოვრებელი, სამუელ ანელად წოდებული.

დავითისაგან დატყვევებულის და აფხაზეთში დასახლებულის ანის ქალაქის მფლობელის აბულ სევარის შვილი ფადლონი მამის დატყვევებამდე სპარსეთში იყო წასული და მას აქეთ ის ცდილობდა ანის ხელახლად დაჭერას. დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ ფადლონმა იშოვა სპარსეთის ჯარი, მიადგა ანს და ალყა შეკრა. ამ ქალაქის გამგებელი აბულეთ ორბელიანი და მისი შვილი ივანე მხნედ იცავდნენ ქალაქს და იგერიებდნენ მტრებს, მაგრამ მტრებმა ძალიან გაუჭირეს საქმე მცხოვრებლებს. სანოვაგის შეტანა ქალაქში გაძნელდა და ამის გამო გაჩნდა შიმშილობა. ბევრმა მოინდომა ქალაქიდგან გამოსვლა და შიმშილისაგან გადარჩენა, მაგრამ ფადლონი არც იმათ ასვენებდა, თავს ესხმოდა, ხოცავდა, ატყვევებდა და ჰყიდდა. შეშინებულმა მცხოვრებლებმა გამართეს მოლაპარაკება ფადლონთან, აღუთქვეს გადაეცათ მისთვის ქალაქი, თუ იგი შურს არ იძიებდა მათზე მის მამის აბულ-სევარის ღალატისათვის. ფადლონი დაჰპირდა ამ პირობის შესრულებას და ანელებმა გაუღეს კარები. ქართველი ჯარი და ქალაქის გამგებელი ორბელიანი იძულებულები შეიქმნენ დაენებებინათ თავი ანისათვის [1]).

თუმცა სამუელ ანელი ამბობს, რომ ფადლონისაგან ანის გარემოცვა ერთს წელიწადს გაგრძელდაო, ეს დასაჯერებელი არ არის, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ ასე დიდის ხნის გამავლობაში დიმიტრის არ გაეგზავნოს მეშველი ჯარი. შესაძლებელია, ფადლონი ერთის წლის განმავლობაში რამდენჯერმე მისდგომოდეს ანს და, ყოველთვის უკუქცეულს, მხოლოდ უკანასკნელად მოეხერხებინოს ქალაქის ხელთ-ჩაგდება, მაგრამ უფრო ჰკუას ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ ფადლონმა ანი ხელთ იგდო სწრაფის და მოულოდნელის თავდასხმით, რის გამოც დიმიტრიმ ვერ მოასწრო შველა. ამას ემოწმება ვარდანი, რომელიც სწერს, რომ ხორასანში მყოფი აბულ სევარის შვილი ფადლონი, გაიგო თუ არა დავით აღმაშენებლის სიკვდილი, გამოემართა ანისკენ და მოსთხოვა აბულეთ ორბელიანს და ქალაქის წარჩინებულს მცხოვრებლებს გადაეცათ ქალაქი მისთვის. ორბელიანმა მცხოვრებთა უბედურების ასაცილებლად აიღო და ქალაქი გადასცა [2]).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფადლონს უნდა გამოეცხადებინოს საქართველოს მეფის მორჩილება და ერთგულობა და ამიტომაც დიმიტრიმ დაამტკიცა იგი ანის გამგებლად და წინააღმდეგობა არ გაუწია. ამას გვაფიქრებინებს მათე ედესელის სიტყვები, რომ დიმიტრიმ ანი დაუბრუნა აბულ სევარის შვილებს და ჩამოართვა ფიცი მორჩილებისა და ერთგულობისაო [3]). ამნაირად, მართალია, ანში ძველის მფლობელის ჩამომავალი დაბრუნდა, მაგრამ ქალაქი მაინც საქართველოს ხელქვეითად დარჩა. მეფე დიმიტრი არ გამოეკიდა ფადლონის თავნებობით და თავდასხმით ანის დაჭერას, უეჭველია, იმიტომ რომ ორბელიანის ანში გამგებლად ყოფნა სასურველი არ იყო მისთვის. ეს ამბავი სომხის ისტორიკოსთა მოწმობით მოხდა 1126 წ.

ფადლონის საქციელმა მუსულმანებს აფიქრებინა, რომ საქართველოს ის ღონე აღარა ჰქონდა, რაც დავითის დროსა და გააბედვინა როგორც თვით საქართველოში მცხოვრებთ ისე მოსაზღვრეთ იარაღის აღება საქართველოს წინააღმდეგ. ადირბეჟანის მმართველი ყარასონღული შემოესია 1128 წ. საქართველოს საზღვრებს და მისგან დაიმედებულმა ხუნანისა და დმანისის მცხოვრებმა მუსულმანებმაც მოინდომეს დიმიტრისაგან განდგომა. დიმიტრი მეფემ ყარასონღულის წინააღმდეგ და აგრეთვე ხუნანისა და დმანისის დასაჭერად გაგზავნა ჯარი, რომელსაც უფროსობდნენ აბულეთ ორბელიანი შვილით ივანეთი და ივანე ორბელიანი შვილით სუმბატითურთ. ქართველებმა დაიპყრეს განდგომილი ქალაქები ხუნანი და დმანისი და დაამარცხეს ყარასონღული, რომელიც გაიქცა და გამაგრდა ადირბეჟანის ერთს ციხეში [4]).

დამარცხებულმა მუსულმანებმა კიდევ სცადეს საქართველოს საზღვრებზე თავდასხმა 1130 თუ 1132 წ. ადირბეჟანის ამირა კლინი დაეცა დოვინს და ტყვედ ჩაიგდო ანის მფლობელი და კიდევაც მოაკვლევინა საწამლავით. ანის მფლობელად შეიქნა ჯერ ერთი ძმა ქუშლერი, მის შემდეგ მეორე ძმა მაჰმადი [5]).

სამაგიეროს გადასახდელად და ადირბეჟანის მუსულმანების დასაწყნარებლად დიმიტრი მეფემ გაგზავნა ქართველი ჯარი 1135 წ. აბულეთ და ივანე ორბელიანების წინამძღოლობით. ქართველები შეებრძოლნენ გარნისზე ამირა ელდიგუზს, რომელმაც დაამარცხა ქართველები და დაატყვევა თითო თვით ორბელიანებიც მამა-შვილი. ელდიგუზმა დახოცილის ქართველების თავები დააჭრევინა, მოახარშვინა და თავის ქალები დააწყობინა მინარეთის სახურავებზე და ქალაქის კედლებზე [6]).

1137 წ. დიმიტრი მეფემ ხელ-ახლად გაილაშქრა და ტყვეობითგან დაიხსნა ორბელიანები, ხოლო ორის წლის შემდეგ 1139 წ. იმავე ორბელიანთა წინამძღოლობით გაგზავნა ჯარი ყარასონღულის წინააღმდეგ. მოხდა ბრძოლა ხაჩენში, სადაც მუსულმანებმა გაიმარჯვეს ქართველებზედ. [7]) ამის გაგებისათანავე თვით დიმიტრი მეფემ გაილაშქრა ადირბეჟანში. სწორედ ამ ლაშქრობის დროს მოხდა მიწის ძვრა, რომელმაც დაანგრია განჯა. დიმიტრი მეფემ ისარგებლა ამ შემთხვევით და გაეშურა განჯისკენ, აიღო ეს ქალაქი და აიალაფა. გამარჯვების ნიშნად მეფემ ჩამოაღებინა ქალაქის რკინის კარები და გადმოატანინა საქართველოში, სადაც შესწირა გელათის ტაძარს [8]).

საქართველოს მტრები ამის შემდეგ მიწყნარდნენ და აღარ შემოსულან მის საზღვრებში 1153 წლამდე, როდესაც ერზრუმის მფლობელი სალდუხი თავის ჯარით მიადგა ანის ქალაქს. მეფემ ანის დასაცველად გაგზავნა ჯარი, რომელმაც დაამარცხა მტრები და დაატყვევა თვით სალდუხი [9]).

II

**შინაური არეულობა.**

დიმიტრის მეფობაში თავი იჩინა შინაურმა განხეთქილებამ. მეფეს ჰყავდა ორი შვილი დავითი და გიორგი, რომელთაც ერთმანეთში უსიამოვნება და ქიშპობა ჰქონდათ. მამას უფრო უმცროსი შვილი უყვარდა. ამით სარგებლობდნენ ზოგიერთი დიდებულები, მაგ. ორბელიანები, და თავიანთ პირადის ინტერესით უფროსს შვილს დავითს აღელვებდნენ დიმიტრი მეფისა და გიორგის წინააღმდეგ [10]). ამის გამო დავითი შეიქნა მამის ურჩი და უფრო შეაძულა მას თავი. საქმე ისე გამწვავდა, რომ დიმიტრიმ წესის მიუხედავად მოინდომა თავის მემკვიდრეობა უმცროსის შვილის გიორგისთვის გადაეცა და კიდევაც შეასრულა ეს სურვილი 1150 წ., როდესაც მეფედ გამოაცხადა გიორგი და ცოლად უთხოვა ოსეთის მეფის ქალი ბურდუხან. ამ ამბავმა აღელვა დავითი, გაუდგა თავის მამას და თავის მხრივ მოინდომა მამა ტახტიდგან ჩამოეგდო და თვით გამეფებულიყო. დავითის უმთავრესი მომხრენი და წამქეზებელნი იყვნენ ივანე და თირქაშ ორბელიანები, აბულეთის ძენი. დიმიტრი მეფემ მოაკვლევინა ივანე ორბელიანი, თირქაში-კი გაიქცა შაჰერმანთან, რომელმაც ის დააბინავა არშარუნში. აქედგან თირქაში მუსულმანთა ჯარით ხშირად ეცემოდა საქართველოს საზღვრებს და ოხ-

---

[1] სამუელ ანელი (იხ. Collection d'historiens arméniens, t. I. p. 461).

[2] იხ. Additions p. 233.

[3] იქვე გვ. 231.

[4] სამუელ ანელი (Collection p. 463).

[5] ვარდანი (იხ. Additions p. 245).

[6] ვარდანი (იქვე გვ. 246), სამუელ ანელი (იხ. Collection p. 463).

[7] სამუელ ანელი (Collection p. 463).

[8] კირაკოზი (Additions p. 246), ქრონიკები თ. ჟორდანიასი ტ. I, გვ. 278.

[9] სამუელ ანელი (Collection p.465) და იბნალათირი (იხ. არაბთა და სპარსელთ მწერალთა ცნობანი „მოამბეში“ 1897 წ. № XI გვ. 9).

[10] ვარდანი ამ შინაურს განხეთქილებას ცოტა სხვანაირად მოგვითხრობს. მის სიტყვით გამოდის, ვითომ დიმიტრი მეფის და მის ძმის გიორგის შორის ყოფილიყოს უსიამოვნება და მათ ურთიერთობაში მიეღოს მონაწილეობა ორბელიანთ. დიმიტრი მეფეს არა ჰყოლია ძმა გიორგი და არც არავითარი ნიშანი ჩანს ქართულს წყაროებში დიმიტრის და მის ძმის (ვახტანგის ან ცვატას) შორის განხეთქილებისა იმ დროს, როდესაც დიმიტრისა და მის შვილის დავითის შორის განხეთქილება ცხადია. ვარდანს, უეჭველია, დიმიტრის შვილი გიორგი მის ძმად მიუღია და საქმის გარემოებაც აურ-დაურევია (Additions p. 246).

ურა, მაინც გამომცდელებს ყველა კითხვებზედ შესაფერად მიუგეს. გამოცდის გათავებისას მ. დეკანოზმა ყველა ბავშვებს მოკლე დარიგება მისცა და, რადგანაც უფრო ახლად აყვანილს ბავშვებს ვერ ესმოდათ ქართული, ამისათვის საღმრთო-სჯულის მასწავლებელმა იქვე ქისტების ენაზედ გადუთარგმნა დეკანოზის სიტყვები. ბოლოს მ. დეკანოზმა ზოგიერთ შეგირდებს პატარა წიგნები დაურიგა.

აქეთ მაისმაც თითქმის სულ წვიმებით გაიარა. აპრილისა და მაისის ცივი წვიმების ბრალი იყო, რომ ფუტკარმა ძალიან იზარალა. მარტო ერთს მოსახლეს 60 სკა ფუტკარი დაუზარალდა. წარსულს მაისის ნახევრებში წვიმა ქუხილის დროს მეხი დაეცა ცხვრის ფარას და 13 სული ცხვარი იქვე მოჰკლა. ამავე მაისის გასულებში მთაში ცხვარს უკან გაყოლილი ასე 14—15 წლის თუში მ. ზღუჯოშვილის ბიჭი ზვავმა წამოიღო, რომელიც რამდენიმე დღის ძებნის შემდეგ ძლივს იპოვნეს წყალში მკვდარი მოგლეჯილი. ამავე ხანებში ჩვენს ხეობას კაი მოზრდილი სეტყვამ თავზედ გადაუარა და ერთი სოფელი, ომალო, ცოტა არ იყოს დააზარალა. ტიბათვის სიცხემ გაუჭირა დედამიწას. ნაწვიმი სიმინდის ნათესები ისე გახმა, რომ ბევრგან თოხნას თავი დაანებეს, რაკი თოხი გამხმარს გორახებს ველარას აკლებდა. მაგრამ ღმერთმა გვიბრალა და იმავე თვის ნახევრებში ცოტა მოწვიმა.

ამ დღეებში ერთს კაცს ცხენი მოჰპარეს, მოსჭრეს შიგ ძირში კუდი და ერთი ყური და ისე გაუშვეს; აქაურს მოლას შვილსა და ერთს ქისტს, ორივეს ახალგაზრდებს, არყის სმაში ჩხუბი მოუვიდათ: ქისტმა სილები შემოჰკრა მოლას შვილს, ხოლო იმან სამაგიეროდ ხანჯალი ამოიღო და დაჰკრა თავში. ჭრილობა საშიში არ არის; სოფლის უფროსმა კაცებმა მოჩხუბარნი ისევ შეარიგეს და მოლის შვილს დაჭრილის სასარგებლოდ დააკისრეს „დეეინ ყეიდალზედ“ (მამა-პაპის ჩვეულებაზედ) ერთი კოდი პური, ორი საკლავი (ცხვარი), არაყი და ერთი თუ ორი თუმანი ფული.

ქისტი ჩობანი.

---

**გუბი-წყლის ქვემო მხარე** (ქუთაისის მაზრა). თუმცა შარშანდელმა მოუსავლობამ ძალიან შეგვაწუხა არამც თუ ღარიბნი, არამედ სხვა ბევრიც, ისიც-კი, ვინც თავის სამყოფ სარჩო სიმინდის გარდა ხუთისა და ექვსის თუმნის სიმინდს პირ-იქით ჰყიდდა, მაგრამ ეს გარემოება ჯერ გულს მაინც არ გვიტეხს და მომავალს სიხარულით ვეგებებით იმ იმედით, რომ შავად მობიბინე სიმინდი დღეს კარგს მოსავალს გვპირდება; ამინდებიც ჯერ-ჯერობით კარგია და ყანებში მუშაობა შესამჩნევ ნაბიჯით წინ მიდის; აბრეშუმის პარკის კარგმა მოსავალმაც გაგვახარა და 20—40—50—60 მანეთი და ზოგიერთებს მეტიც აგვაღებინა; ხილეულობასაც კარგი ფასი აქვს და ვენახებიც, რომელიც-კი გაზაფხულის ყინვებმა შეიბრალა, კარგს მოსავალსა გვპირდება, ისე რომ შიმშილით არაფერი გვიშავს, თუმცა-კი ფუთი სიმინდი 60—70 კ. ფასობს და ისიც დაუწმენდელ-დაუბერტყავია...

ჯერ ექვსი თვეც არ შესრულებულა, რაც დიდი-ჯიხაიშის ქსენონი სწარმოებს და ამ დაწესებულებამ ხალხის გული დიდად მოიგო; მრავალმა ისეთმა მაგალითმა, როგორიც თავის დროზედ ექიმობით და წამლების მიშველებით უიმედო ავადმყოფის სიკვდილისაგან გადარჩენამ, წამლობის გაადვილებამ და თვით ექიმის, ბ-ნ ივ. გომართელის კეთილმა ქცევამ, ხალხს აშკარად დაანახვა, რომ ქსენონი აუცილებელი საჭიროებაა. ბევრი მათ შორის, ვინც წინად ამ საქმის მოსისხლე მტრად ითვლებოდა, დღეს პირველი მისი მომხრეა. თუმცა ეხლაც არიან ისეთნი, რომელნიც ქსენონის შეფერხებას სცდილობენ, მაგრამ ისინი ველარას გახდებიან ამისთანა საზოგადო კეთილ საქმის წინააღმდეგ.

ვერ ვიტყვი, რომ დიდი-ჯიხაიშის სამკითხველო უკიდურეს მდგომარეობაში იყოს. პირ-იქით, წარსრულ წლებთან შედარებით, ბიბლიოთეკის ახალის მმართველის მეცადინეობით, სამკითხველოს შემწე ბლომად აღმოუჩნდა და გაზეთებიც ბლომადა აქვს, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ხან-და-ხან ბიბლიოთეკის წეს-რიგი არ ირღვეოდეს. თუ არა ვსცდები, აგერ ხუთი წელიწადი სრულდება, რაც ბიბლიოთეკა დავგიარსებია და ჯერ კიდევ საკუთარი შენობა ვერ შეგვიძენია, რის მიზეზითაც სამკითხველოსთვის სახლის ქირაობა ხშირად არა სასურველ ალაგას მოგვიხდება ხოლმე.

წინადაც გვქონდა ლაპარაკი, გუბი-წყლის მახლობლად, ს. ინეთში ბაქანის სადგურად გადაკეთების შესახებ; ამას წინად მოვიდა კიდეც აქ რკინის გზის აგენტი ბ-ნი ი. მაჭავარიანი და დაათვალიერა აქაურობა; ჩვენ დიდი იმედი მოგვეცა, მაგრამ გაგვიცრუვდა იმედები. ლაპარაკობენ, სადგურის მაგივრად გუბი-წყალზედ სადღაც ხიდს აკეთებენო: ხალხი-კი გულის ტკენით ლაპარაკობს: ნეტავი, ბაქანს არავინ მოგვიშლიდეს და სადგურმა თქვენი ჭირი წაიღოსო.

ყოველმა შეგნებულმა კაცმა უნდა იცოდეს სამკითხველო რა საჭირო და სასარგებლო დაწესებულებაა სოფელში, მაგრამ ხშირად შეხვდებით ისეთ სოფელს, რომელიც, არც მცხოვრებთა რიცხვით და არც განათლებით დიდად არ ჩამოუვარდება სხვა დაწინაურებულ სოფლებს, მაგრამ სამკითხველო-კი არა, გაზეთსაც იშვიათად ჰნახავთ. აი თუნდ ეწერის საზოგადოება ავიღოთ. ამ საზოგადოებაში თავად-აზნაურთა გარდა, 600—700 კომლი მცხოვრებია; არის სამი სკოლა, ორი სამინისტრო, ორივე ორ-ორ კლასიანად გადაკეთებული და ერთიც სამრევლო, ისე რომ წერა-კითხვის მცოდნე აქ ბლომად მოიპოვება, სამკითხველოს-კი მოკლებულია.

ბარნაბა გელა.

# უცხოეთი

**საფრანგეთი**. პალატაში ემბერის საქმის შესახებ კამათი მირმანის სიტყვით დაიწყო. ორატორმა განაცხადა, რომ ყოფილ იუსტიციის მინისტრს მონისს ემბერის ბოროტ-მოქმედების გამოსამჟღავნებლად სრულებით არა გაუკეთებია-რა და ახალმა მინისტრმა ვალლემ მაინც გააცნოს პალატას ეს საქმე დაწვრილებით, რათა ბოლო მოეღოს ათასგვარ მითქმა-მოთქმას, რომელიც ჩირქსა სცხებს სამინისტროსაც და რესპუბლიკელთა დასსაცა. მაგ., სამინისტროს მოწინააღმდეგენი ირწმუნებოდნენ, რომ თვით სამინისტრომ შეუწყო ხელი და დამალა ემბერნი, რადგან ეშინოდა ზოგიერთ საბუთების გამოქვეყნებისა, რომელიც საქმეში გაეხვევდა სამინისტროსაც და რესპუბლიკელთა დასსაცაო; ირწმუნებიან აგრეთვე, რომ ემბერის გაჩხრეკის დროს ისეთი ფოტოგრაფიული სურათები აღმოჩნდა, რომელიც დიდად სათაკილო იყო ზოგიერთ მაღალ წოდების პირთათვისო და, რასაკვირველია, იმ წამსვე გააქრესო; ამბობენ კიდევ, რომ სამინისტრო არჩევნების დროს სარგებლობდა ემბერის ფულითაო; რომ ახალს იუსტიციის მინისტრს უნდოდა საგენერალო პროკურორის ბიულოს დასჯა, მაგრამ შეშინდა, ვაი თუ ამ უკანასკნელმა ჩემი ცოდვები გაამჟღავნოსო და სხ. და სხ. იუსტიციის მინისტრმა ვალლემ შემდეგი პასუხი გასცა ორატორს: „უწინარეს ყოვლისა მე უნდა მოგახსენოთ ჩემსა და საგენერალო პროკურორის ბიულოს შესახებ. მე არავისათვის არ მითქვამს ბიულოს დათხოვნა განვიზრახე-თქო. როცა მე შევუდექი სამინისტროს მართვას, ბიულო თვით გამომეცხადა და სამსახურიდგან განთავისუფლება მთხოვა, რადგან მისის სიტყვით, ნაციონალთა გაზეთობა მოსვენებას აღარ მაძლევსო. მე შევპირდით, ემბერის საქმეს დაწვრილებით გავიცნობთ-ქო, და კიდეც გავიცანი, მაგრამ ბიულო სრულებით ალალ-მართალი აღმოჩნდა ამ საქმეში. მას არავითარი მუქარით არ მოუმართავს ჩემთვის და არც შეეძლო მოემართნა. ეხლა გადავალ იმ ხმებზედ, ვითომც მთავრობას ვერ გაებედნოს ემბერთა დატუსაღება, რადგან ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეთ, რესპუბლიკელთა დასიდგან, ამ ბოროტ-მოქმედებაში წილი უდევთ, და მათ მოერიდნენო. მართალია, ქ-ნს ემბერთან მიმოსვლა ჰქონდათ პოლიტიკურ მოღვაწეებს, მაგრამ ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მისი მამამთილი—მინისტრი იყო და ქმარი—დეპუტატი. არ გეგონოთ-კი, რომ ქ-ნს ემბერთან მხოლოდ რესპუბლიკელნი დადიოდნენ: მისი კარი ღია იყო ყოველ დასის წევრთათვის: მასთან მიდიოდნენ წარმომადგენელნი სამოსამართლო უწყებისა, რადგან თვით ემბერი ამ უწყებას ეკუთვნოდა, ფინანსისტები, რადგან ემბერის ოჯახობა ხშირად ჰსაჭიროებდა ფულს (სიცილი); მხატვარნი, რადგან მეტად უყვარდა საუცხოვო ხელოვნური ნაწარმოებნი; დადიოდნენ აგრეთვე ჰერცოგები, გრაფები, მარკიზები (მემარცხენენი ტაშს უკრავენ) და ერთი ცნობილი გენერალიც, რადგან ემბერი ბულანჟისტი იყო (კიდევ ტაშის ცემა მარცხნივ). იმ დროს, როცა ერთი კარი ღია იყო პოლიტიკურ მოღვაწეთათვის, მეორეში სრულებით თავისუფლად შედიოდ-გამოდიოდა სამღვდელოება და ამ კარის კლიტე ებარა ქ-ნ ემბერის ძმას, რომან დორინიაკს—ბედშავ „სამკვიდრო რენტის“ ორგანიზატორს—რომელსაც კლერიკალები განსაკუთრებულ მფარველობას უწევდნენ (მარცხნივ ტაშის ცემა). ამ ნაირად, როგორც თქვენ თვითონა ჰხედავთ, მთავრობას არავითარი შიში და ხათრი არ ჰქონებია ემბერისა, რომ მისი დაპატიმრება ვერ გაებედოს. როდესაც ემბერი წარსდგება ნაფიც მსაჯულთა წინაშე—რაშიაც მე დარწმუნებული ვარ—მაშინ, თუ ისურვა თავის ნაცნობობა-დამოკიდებულებაზედ ლაპარაკი—საოცრად გაუცრუვდებათ მოლოდინი სამინისტროს მოწინააღმდეგე პირთა. დამავიწყდა მეთქვა იმ სურათების შესახებ, რომელიც ქ-ნ ემბერის ბინაზედ უნახავთ და რომელნიც ვითომ გაუქარწყლებიათ, რადგან საეჭვო თვისებისა იყოო. მართალია, ემბერის სადგომის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილა ძველი ნეგატივებით სავსე კოლოფი, მაგრამ, როგორც ყოველ ამგვარ შემთხვევაში, პოლიციას იქვე დაუმსხვრევია იგი. როდესაც მე მინისტრობა მივიღე, საყურადღებოდ გაიხდა იმ ნეგატივების ამბავი. შევაწებებიე შუშების ნამტვრევები და აღმოჩნდა, რომ მათზე აღნიშნული პირები შორეულს წარსულს ეკუთვნოდნენ და ემბერთა საქმესთან არავითარი დამოკიდებულობა არ ჰქონდათ. აი, რის თქმაც შემიძლია იმ საქმის შესახებ, რომელსაც მხოლოდ სამოსამართლო ხასიათი აქვს და არა პოლიტიკური.

ეხლა თვით პალატამ გადასწყვიტოს, თუ როგორ შეუსრულებია იუსტიციის მინისტრს თავისი მოვალეობა“.

შემდეგ ამისა პალატა 403 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 74 შეუდგა სხვა საქმეებს, მხოლოდ ემბერის საქმის გამო ასეთი ფორმულა მიიღო:

„პალატა ნდობას უცხადებს მთავრობას, რომ იგი ენერგიულ ზომებს მიიღებს ემბერის საქმეში დამნაშავეთა წინააღმდეგ და საქმეს სამოსამართლო ნიადაგზედ დააყენებს“.

— ყველა სარელიგიო კონგრეგაცია, რომელიც დაკანონებულ ვადამდე საფრანგეთში დამკვიდრების ნებას არ გამოითხოვდა, ასსოციაციათა კანონის ძალით მთავრობას უნდა დაეხურა. ნება-დაურთველ კონგრეგაციათა რიცხვი ამ ჟამად 120-მდეა; შინაგან საქმეთა მინისტრს უკვე მოუწერია ხელი დეკრეტზედ და პროვინციებში კიდევაც შესდგომიან მათ დახურვას. ჰგონებენ, რომ კონგრეგაციები სახელმწიფო საბჭოში განასაჩივრებენ მინისტრის განკარგულებას.

— როგორც „Berl. Tageblatt“-ს ატყობინებენ, დუტს სასამართლო ახალ საქმეს არჩევს ჯაშუშობის შესახებ, რომელიც გერმანელ აფიცერს ჰბრალდება. ეს უკანასკნელი თურმე დიდი ხანი სცხოვრობდა აქაურს სასტუმროში ლერუას სახელით და სცდილობდა როგორმე შეპარულიყო ადგილობრივ იარაღის ქარხანაში, სადაც ამ ჟამად ახალი სისტემის იარაღი მზადდება, რომ დაეთვალიერებია იქაურობა და თან ერთი „სროლა“ მაინც ჩაეგდო ხელში. სასტუმროს პატრონი ჯერ-კი დაჰპირებოდა დახმარებას, მაგრამ ბოლოს ეცნობებია ეს ამბავი, სადაც ჯერ იყო; ამნაირად გამომჟღავნდა აფიცრის გაიძვერობა, რომელიც უკვე დააპატიმრეს მთელის თავის გეგმით.

**გერმანია**. ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ ვილჰელმის მიერ მარიენბურგში წარმოთქმულ სიტყვის გამო იმპერატორის სასახლის სახელოვანმა მხატვარმა, პოლონელმა ვოიცეხ კოსსაკმა, სამსახურს თავი გაანება და ბერლინიდგან წავიდა. ამის შესახებ „Pesti Naplo“ კოსსაკისავე სიტყვებით გადმოგვცემს, რომ ვილჰელმმა გამოთხოვების დროს საყვარელ მხატვარს შემდეგი უთხრა: „ძვირფასო მეგობარო, მე მესმის თქვენი მდგომარეობა და წრფელის გულით ვსწუხვარ თქვენს წასვლას; დარწმუნებული იყავით, რომ მე ყოველთვის სასიამოვნოდ დამირჩება თქვენი აქ ნახვა“.

**ბოლგარია**. გაზეთი „Новини“ იუწყება, რომ საერო საკრებულოს დეპუტატთა უმრავლესობა დიდის ამბით მიეგება მინისტრ-პრეზიდენტს დანევს, როცა იგი პეტერბურგიდგან და პარიჟიდგან დაბრუნების შემდეგ პირველად გამოჩნდა საკრებულოს დარბაზში. დეპუტატებმა მინისტრ-პრეზიდენტს დიდი სიამოვნება და სიხარული გამოუცხადეს, რომ მის მოგზაურობას საბედნიერო შედეგი მოჰყვა: პეტერბურგში—პოლიტიკური დამოკიდებულობის განმტკიცება და პარიჟში—ფინანსიურისა.

**სამხრეთ-აფრიკა**. „Paris Nouvelles“-ის სიტყვით, იმ წერილებიდგან, რომელიც ამ ჟამად გაზეთში მიუღიათ სამხრეთ-აფრიკიდგან და რომელიც ინგლისის ცენზურას გამოჰპარვია, თავ და თავ მიზეზს ზავის ჩამოგდებისას ბურების მხრივ იმ ხმებს ასახელებენ, ვითომც ბანაკებში დამწყვდეულ ბურების ოჯახებს გაწყვეტას უპირებდნენ კაფრებიო, რომელთაც ამ აზრით თოფ-იარაღი ინგლისის მთავრობამ დაურიგაო.

# სხვა-და-სხვა წერილები

## მოწაფეთა მოგზაურობა

დრო გამოიცვალა და თითქო წინ-მსვლელობა ეტყობა ჩვენს ცხოვრებას. აი, თუნდ „მოგზაურობა“ ავიღოთ. ვის არ გინდათ ამ ბოლოს დროს, რომ არ მოგზაურობდეს: პროფესორი, მასწავლებელი, მღვდელი, შეგირდები და სხვა. დარწმუნებული ვარ, ყოველს მოგზაურს შეუძლიან თავისის

---

ებდა 11). ერთის ამისთანა თავდასხმის დროს თირქაში დაიჭირეს და მეფემ იგი დაამწყდევინა ციხეში.

თუმცა ამხანად დავითს არ წაემართა ხელი, ის მაინც თავისას არ იშლიდა და ცდილობდა ძალით აეღებინებინა დიმიტრისთვის მეფობაზე ხელი და თითონ გამეფებულიყო. 1155 წ. დავითმა კიდეც შეასრულა თავისი წადილი, ძალით ჩამოაგდო თავისი მამა ტახტიდგან და თითონ გამეფდა. ამ ცვლილების დროს დავითმა ამოხოცა და განდევნა საქართველოდგან ბევრნი დიდებულნი, რომელნიც მის მამის ერთგულნი იყვნენ. მამა-კი იძულებული ჰყო ბერად შემდგარიყო დანიელის სახელით. 12)

## III

### დავით III-ის მეფობა.

დავითმა იმეფა ძალიან მცირე ხანს—ექვსს თვეს. თავის საქციელით იმან შეაძულა თავი მამას, ძმას და ბევრს დიდებულს, რომელთაც ის სდევნიდა. სამაგიეროდ სწყალობდა თავის მომხრეებს. ვარდანის თქმით, თირქაშ ორბელიანი გამოიყვანა საპყრობილიდგან და მთავარ-სარდლობა მისცა, რითაც ძალიან აწყენინა სუმბატ ორბელიანს, რომელსაც ეჭირა ეს თანამდებობა დიმიტრის დროს და რომლის ჩაგონებითაც დავით მეფე მოწამლეს 13). სიკვდილის წინ დავითმა მიიწვია თავისთან ძმა თვისი გიორგი, კათალიკოზი და დიდებულები და მათ გამოუცხადა თავისი სურვილი, რომ მის სიკვდილის შემდეგ მეფედ ყოფილიყო ყრმა შვილი მისი დიმიტრი, რომლის სრულ წლოვანობამდე სამეფოს გამგებლად უნდა ყოფილიყო ძმა მისი გიორგი. დიმიტრის აღმზრდელად დავითმა დანიშნა ივანე ორბელიანი, სუმბატის შვილი. ამასთან დავითმა აიყვანა ხელში იქვე მყოფი დიმიტრი, გამოეთხოვა კოცნით და გადასცა ხელში ივანე ორბელიანს, ხელ დამსწრე დიდებულებს სთხოვა ერთგულობა გაეწიათ ყრმისათვის 14). ამის შემდეგ მოკვდა დავით მეფე (1156 წ.). მართალია, დავითმა თავისი ტახტი უანდერძა თავის შვილს დიმიტრის, მაგრამ გიორგიმ კანონიერად არ ჩასთვალა მისი განკარგულება. დავითის სიკვდილის დროს ცოცხალი იყო კიდევ დიმიტრი მეფე, რომელიც დავითმა ძალით ჩამოაგდო ტახტიდგან და იძულებულ-ჰყო ბერად შესულიყო. რიგით ტახტი ისევ დიმიტრის უნდა დაჰბრუნებოდა, მაგრამ მან აღარ ინება ბერობის მიტოვება და თავისი უფლება დაულოცა გიორგის, როგორც ეს წინადაც ჰქონდა გადაწყვეტილი. ამ საფუძვლით დავითის შემდეგ მეფედ შეიქნა ძმა მისი გიორგი 1156 წ. ამავე წელს მოკვდა მამა მისი დიმიტრი მეფე, ბერობაში დანიელი.

## მეფე გიორგი III

## I

### ლაშქრობანი და ბრძოლანი.

პირველი საგანი, რომელსაც გიორგიმ გამეფებისათანავე მიაქცია ყურადღება, იყო ანის ქალაქის საქმე. 1156 წ. სომხის სამღვდელოების დახმარებით ფადლონმა წაართვა ამ ქალაქის გამგებლობა თავის ძმას შადადს 15). როგორც ერთი ისე მეორე ცდილობდნენ დაეხწიათ თავი საქართველოს მეფეთა დამოკიდებულებისაგან. ძმათა დავიდარაბის მოსასპობად და ქალაქის დასამორჩილებლად გიორგი მეფე გაემართა ანისკენ 1161 წ. ქართველები გარს ადგნენ ქალაქს სამის დღის განმავლობაში და აიძულეს ქალაქი დამორჩილებოდა. მეფემ ჩამოართვა ფადლონს ქალაქის გამგებლობა და გამგებლად დააყენა მანდატურთუხუცესი ივანე ორბელიანი და მის თანაშემწედ ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი.

შაჰერმანის დასასჯელად გიორგიმ ანის დაჭერის შემდეგ გაილაშქრა მის სამფლობელოში—აშორნის ქვეყანაში. იქიდგან დაბრუნებულმა ანში დასტოვა მეციხოვნეები და დაბრუნდა ქართლში.

შაჰერმანმა თავის მხრივ მოინდომა სამაგიეროს გადახდა და ანის წართმევა. მან ამ აზრით სთხოვა შემწეობა შამის (სირიის) ჯაზირის (მესოპოტამიის), დიარბეგირის და ერზერუმის მფლობელებსა და დიდის ლაშქრით მიადგა ანს ამავე წლის (1161) მკათათვის გასულს. გიორგი მეფემ ეს ამბავი შეიტყო ნაქარმაგევში და გასცა ბრძანება ჯარი შეკრებილიყო ფიცხლად. მაგრამ მთელის ჯარის შეკრების ცდა აღარ შეიძლებოდა და ამერეთის ზოგიერთის კუთხით მოსულის ჯარით მეფე გაემართა ანისკენ. მეფეს ურჩევდნენ მწიგნობართ უხუცესი იოანე და სუმბატ ორბელიანი (მაშინ ბერად შემდგარი სახელად სვიმონ), რომ ასეთის მცირედის ჯარით არ შეჰბმოდა მტერს. მეფემ არ დაუჯერა მათ და გასწია მტრისკენ. როდესაც მტერთა აუარებელი რიცხვი გამოჩნდა, გიორგი მეფე გადმოხტა ცხენიდგან და დაიწყო ლოცვა, შემდეგ მისცა იოანე მწიგნობართ-უხუცესს ძელი ცხოვრებისა, რომ წინ გასძღოლოდა ჯარს, ხოლო თითონ მიმართა მას გამამხნევებელის სიტყვებით. ამის შემდეგ გიორგი მეფე თავის რაზმით მიესია მტერს, გულდაგულ გააპო მათი რაზმები და მივიდა მტრის დროშამდის, რომელიც ძირს დასცეს ქართველებმა. მტერი გაიქცა, ქართველებმა სდიეს მზის ჩასვლამდე. გამარჯვებულებს დარჩათ მრავალი ტყვეები და მტრის მთელი ბანაკი დიდის სიმდიდრით. სამუელ ანელის თქმით, ეს გამარჯვება მოხდა 1 მარიამობისთვეს 1161 წ. ამ ბრძოლაში მტრის რიცხვი იყო 80,000 ქართველთა 7,000. ტყვეთა რიცხვი იყო 23,000, ხოლო ვარდანის თქმით 40,000-იც 16). ტყვეთა შორის იყო ერზრუმის მფლობელი სალდიუხი, რომელიც გაათავისუფლა გიორგიმ მის დის ქელათის მეფის შაჰარმენ საკმანის ცოლის შაჰბანუს თხოვნით 17).

გიორგი დარჩა ანში სამს დღეს. ამ ქალაქის ამირად დააყენა ანელი სომეხი სათუნი. ქალაქში დასტოვა მეციხოვნენი და წამოვიდა ტფილისს, სადაც დიდის ამბით დაუხვდნენ ძლევამოსილს მეფეს.

ტყვეთა აუარებელის რიცხვის უკან დასაბრუნებლად მოსულმა ათაბაგმა გამოუგზავნა გიორგი მეფეს მოციქულად სირიის პატრიარქი ეგნატე. გიორგიმ დიდის პატივით მიიღო მოციქული და გაუშვა მრავალი ტყვე. პატრიარქს თითონაც გააყოლა ათაბაგთან თავისი მოციქული მხლებელის დარაჯით. როდესაც ქართველი მოციქული შევიდა მოსულის ქალაქში, მის სადარაჯო ჯარის კაცებს ეჭირათ შუბები, რომელთა წვერებზედ გაკეთებული იყო ჯვრები 18).

ანში გამგებლად დაყენებული სათუნი არ გამოდგა სანდო კაცი. თავის მოქმედებით მან მალე აღძრა ეჭვი საქართველოს მთავრობისა: მეფის ნება-დაურთველად დაიწყო ქალაქის კედლების აგება და გამაგრება. მეფემ ამის გამო ჩამოართვა მას გამგებლობა და მის ადგილას გააწესა სარგის მხარგძელი. სათუნი გაიქცა ელდიგუზთან, მაგრამ მალე ჩაუვარდა ხელთ შაქის ერისთავს. ამან შეიპყრო იგი და გადასცა გიორგი მეფეს, რომელმაც დასაჯა იგი 19).

სამეფოს ერთს მხარეზედ რომ სუსხი მისცა მტრებს, გიორგი მეფემ ახლა მეორე მხრივაც მოინდომა ეჩვენებინა თავის ძალა, ამიტომ მან გაილაშქრა 1162 წელს მარიამობისთვეში დოვინისკენ, სადაც 1135 წ. ელდიგუზი ისე მხეცურად მოეკიდა დახოცილს ქართველებს. ქართველისა და კავკასიელთა მეშველის ჯარით გიორგიმ აიღო დოვინი და მისცა ცეცხლსა და მახვილს. დაიფარა მხოლოდ ქრისტიანები. მეფემ ჩამოაღებინა მინარეთიდგან ქართველების თავის ქალები, ჩაალაგებინა კუბოებში, რომელთაც ზევიდგან გადააფარებინა ოქროქსოვილი, აჰკიდა მუჯრებს და წაალებინა ფეხშიშველებს ტფილისში. 20) თვით მინარეთი დაარღვია და ტყვეთ წამოიყვანა 60,000 კაცამდე 21).

ადირბეჟანის მფლობელმა ელდიგუზმა სამაგიეროს გადახდა მოინდომა 1163 წ. და მოიწვია სხვა მუსულმანთა მფლობელნიც საქართველოზე გასალაშქრებლად. ჯერ კიდევ ყველა მოკავშირეებს არ მოეყარათ თავი, რომ ელდიგუზი შემოვიდა საქართველოს საზღვრებში, დაიჭირა გაგის ციხე და დაიწყო მის მიდამოების აკლება-აოხრება. ამის შემტყობმა გიორგი მეფემ ფიცხლად შეაგროვა ჯარი და გაემართა გაგისკენ. როდესაც ქართველები გადავიდნენ ბუბაქრის მთაზე, მტერმა შეიტყო მათი მიახლოვება, სისწრაფით დასტოვა ყოველივე თავისი სანოვაგე და გაბრუნდა. ქართველების მოწინავე ჯარი დაეწია მტერს, როდესაც ის გადავიდა ეკლეცის წყალს. გიორგი მეფეს უნდოდა გამოსდევნებოდა გაქცეულს მტერს, მაგრამ დიდებულთ დაუშალეს იმ მოსაზრებით, რომ მძლავრი მტერი თითონ გარბის და ესეც საკმარისი გამარჯვებააო. გიორგიმ დაითხოვა ამის შემდეგ ჯარი და მცირეოდენის რაზმით დადგა

---

11) ვარდანი (იხ. Additions p 247).

12) ქრონიკები თ. ჟორდანიასი, ტ. I, გვ. 258.

13) Additions p. 247.

14) სტეფანოზ ორბელიანი (Histoire de la Siounie),

15) იხ. არაბთა და სპარსელთ მწერალთა ცნობანი, „მოამბე“ 1897 წ. № XI, გვ. 9.

16) Collection p. 465, Additions p. 253.

17) იბნალათირი (არაბელთ და სპარსელთ მწერალთა ცნობანი. „მოამბე“ 1897 წ. № XI, გვ. 10).

18) S.-Martin, t. II, p. 241.

19) ვარდანი (Additions p. 253).

20) იქვე გვ. 253 და 254.

21) სამუელ ანელი (Collection p. 465) და მიქელ ასორი (Additions p. 255).

მოგზაურობით ბევრი რამ შეიძინოს ისეთი, რასაც წიგნებში ვერ ამოიკითხავს.

ამ თვის 20-ში გვეწვივნენ შუა-მთის მონასტერში ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მერვე კლასის მოწაფენი: გაბაშვილი, ჯავახიშვილი და აბდუშელიშვილი.

ესენი მოვიდნენ თიანეთით ახმეტაში, ახმეტიდგან წავიდნენ და დაათვალიერეს ალაზანს გაღმა ძველი ეკკლესიები: ცხრა კარიანი და ნათლისმცემელი, იქიდგან ალვანი, ალავერდი, იყალთოს ღვთაების ეკკლესია, შიოს ნამონასტრალი და და შუა-მთის მონასტერი. რასაკვირველია, ინახულეს ყველაფერი და აქედგან წავიდნენ ს. ახატელში თავიანთ მასწავლებელ მგალობლიშვილთან.

იქიდგან მეორე დღეს უნდა გამგზავრებულიყვნენ გაღმა ძველ ეკკლესიების დასათვალიერებლად: გრემში, ნეკრესში და აგრეთვე უნდა დაეთვალიერებინათ სიუფლისწულო მამულები: ნაფარეული, წინანდალი, ველის-ციხე და მუკუზანი. შემდეგ წავიდოდნენ სიღნაღისკენ, შემოივლიდნენ მთელს ქიზიყს და დაბრუნდებოდნენ ტფილისში.

საინგილოშიაც აპირობდნენ, მაგრამ მე დავუშალე, რადგან ეხლა ცოტა შიშიანობა არის-მეთქი და ნუ გაბედავთ.

ეს შეგირდები დადიოდნენ ფეხით. ვუხვეწე ცხენებით გაგზავნით ახატლამდის-მეთქი, მაგრამ ასე მიპასუხეს: ჩვენ რომ ტფილისიდგან წამოველით, იქვე ასე დავაწყეთ, რომ სულ ფეხით უნდა შემოვიაროთ მთელი ჩვენი სამოგზაურო რაიონიო. ამ შეგირდებს აცვიათ საზაფხულოდ და თან აქვთ ერთი თოფი და რევოლვერი. ზურგზე ჰკიდიათ აბგები და შიგ, რასაკვირველია, უწყვიათ ქაღალდი და კარანდაში ყოველისავე აღსაწერად. აქვთ აგრეთვე დურბინდი და ყველა თავიანთი სამგზავრო მოწყობილობა.

პატივ-საცემნი არიან ასეთნი მოწაფენი, რომ მთელი ცხრა თვე დაუღალავად სწავლობენ, სამი თვე დასასვენებლად აქვთ მიცემული, მაგრამ არც ამ დროს ისვენებენ და მოგზაურობაში ატარებენ. ალბად რაიმე კეთილი აზრი აძლევს მხნეობას ამ ახალგაზდა ყმაწვილ კაცობას...

ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

შუა-მთის მონასტრის მღვდელ-მონაზონი ტარასი.

## მეაბრეშუმეობა ქუთაისის გუბერნიაში

(22 ივნისს, 1902 წელ.)

როგორც ჩვენში, ისე საზღვარ-გარეთაც, დღეს წრევანდელ პარკის მოსავალის „მიწერულია“, როგორც ჩვენში იტყვიან, ესე იგი, მოსავალი ეს არის მოილია, მაგრამ დანამდვილებით რაოდენობა მოსავლისა, წინა წლის მოსავალთან შედარებით, გამოანგარიშებული არ არის.

დაახლოვებით-კი, გარაუდით, ჩვენშიაც და საზღვარ-გარეთაც შარშანდელზე ნაკლები მოსავალია. ამბობენ, რომ ჩინეთში შარშანდელზე ათის პროცენტით ნაკლებიაო, იტალიაში და იაპონიაში „თითქმის“ უდრის შარშანდელსაო, საფრანგეთში შარშანდელზე „ცოტათი“ ნაკლებიაო; ჩვენში-კი „მგონი“ შარშანდელზე ერთი მეოთხედით ნაკლები იყოს. ღირსებით-კი წრევანდელს საქონელს ყველგან აქებენ, ჩვენშიაც და სხვაგანაც. მაშ რაოდენობის სიმცირეს ძაფის მეტი გამოსავალი შეავსებს რამდენადმე მაინც. სამაგიეროდ შარშან ამ დროს თითქმის სამ წილად მეტი ყოფილა ძველის წლის პარკი და აბრეშუმეულობა, ვინემ წელს არისო.

გარდა ამისა, ინგლის-ტრანსვაალის ომი გათავდა. ეს ორი გარემოება დიდს იმედებს აძლევს აბრეშუმის ვაჭრებს, რომ მომავალი სეზონი აბრეშუმის აღებ-მიცემობაში უფრო ხალისიერი იქნება, ვიდრე ორის წინა წლისა იყო. 1900 წელს კილო პარკის ფასი თუ რვა ფრანკი იყო და 1901-ში ცხრა ფრანკი,—წელს (1902 წ.) ათზე აცილებასაც მოელიან ამ მოლოდინმა, 1900 წლისა არ იყოს, ერთობ ასწია ნედლი პარკის ფასი როგორც ჩვენში ისე სხვაგანაც, მაგრამ ჩვენში წელს ნედლი პარკის ფასი 1900 წლისას გაუსწორდა და თითქმის ასცილდა, მაშინ როდესაც საზღვარ-გარეთ ნედლის პარკის მყიდველები უფრო თავდაჭერილები იყვნენ. იტალიაში, მაგალითად, შარშანდელზე მეტი არც-კი მიუციათ. საზღვარ გარეთ დაახლოვებით წელს ნედლ პარკს ჰყიდულობდნენ თვრამეტიდან ოცდა ერთ მანეთამდის ფუთს. ჩვენში-კი—თვრამეტიდგან ოხუთმეტ მანეთამდის. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ მყიდველების იმედი გაცრუებოდესთ, როგორც ეს მოხდა 1900 წელს. მოლოდინის გასამართლებლად უმთავრესად საჭიროა პოლიტიკაში მშვიდობიანობა. როგორი გამოდგა წელს ჩვენში აბრეშუმის ჭიის თესლი და რა შედეგი მოჰყვა, მეაბრეშუმეების ცუდს ჩვეულებას—გამოსულ თესლს რომ ჰყიდულობენ მუქთად, ამაზე შემდეგ იყოს.

ნ. წ.

## წ ე რ ი ლ ი
### რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მცეთ პატივი და თქვენის გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ შემდეგი:

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ უკანასკნელ დამატებაში მოთავსებული მოკლე ეტიუდი „ერთი საღამო ბატონ ადვოკატთან“ ის არ არის, რაც მე დავწერე, იმის არც სათაური მეკუთვნის მე და შინაარსიც ისეა, როგორიც „ცნობის ფურცელს, სურდა ალბად და და არა მე. არა მგონია, რომ ეგეთი საქციელი რედაქციის მხრივ, ჩემდა დაუკითხავად, შესაწყნარებელი იყოს. იმედია, დამავალებთ და დაბეჭდავთ ამ წერილს.

სპირიდონ მცირიშვილი.

## დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

24 ივნისი

**პეტერბურგი**. «ფინ. უწყებაში» დაბეჭდილია ნოტა, რომლითაც ფინანსთა სამინისტრომ გარეშე საქმეთა სამინისტროს შუამავლობით მიჰმართა მთავრობათა, ხელ-შეკრულობის დამდებთა ბრიუსელში 5 მარტს 1902 წელსა შაქრის მრეწველობის შესახებ. ამ ხელშეკრულობის დადებაში რუსეთის მთავრობას მონაწილეობა არ მიუღია.

**პორტ-არტური**. ხოლერა ვრცელდება ინკოუდგან. მანჯურიაში, ლეოხის ხეობაში, ბევრი იხოცება. ჩინელთა შორისაც ავად ხდებოდნენ ინკოუსა და ტეშნეს რკინის გზის მიდამოში. კვანტუნის მხარეს სადიანობაა. ხოლერის გაჩენიდგან ავად გახდა ინკოუში 396, მოკვდა 334. რუსის ნაწილს ინკოუში ავად გახდა 172, მოკვდა 88.

**ვარშავა**. „ვარშ. დღ.“ სიტყვით, ვარშავას მოელიან იაპონიის ვაჭრების მოსვლას ამ მხარესთან სავაჭრო კავშირის დასადგენად უშუამავლოდ.

**კავკასი**. აქ მიიღეს სამხედრო მინისტრის განკარგულება საოლქო კომიტეტის დასაწესებლად სამეურნეო საჭიროებათა გამოკვლევისათვის.

**ოდესა**. დღეს მოსული აბაშელთა ელჩი წავიდა პეტერბურგს.

**ლონდონი**. მეფის ჯანმრთელობა ყოველ-მხრივ უკეთესდება.

**პარიჟი**. აქაური გაზეთები უარჰყოფენ ხმას შესახებ ხელშეკრულობის დადებისა რუსეთისა და ბოლგარიას შორის.

**ვილდვერ-კოტრე**. აქ, ალექსანდრე დიუმაუფროსის სამშობლოში, იდღესასწაულეს ასის წლის თავი მისის დაბადების დღიდგან.

**ხაბაროვსკი**. 21 ივნისს, ღამე გირინში საგრძნობელად შეირყა ნიადაგი.

**კავკასი**. კავკასიის მოგზაურთა საზოგადოებამ გადასწყვიტა გააკეთოს თავშესაფარები მყინვარსა და სტოლოვის მთებზე ამსვლელთათვის

**ვარშავა**. ვაჭრებმა დაადგინეს დაარსონ ტომაშოვში შვიდ-კლასიანი საკომერციო სასწავლებელი—სახსოვრად ამ ქალაქში მის უდიდებულესობის მობრძანებისა 7 ოქტ. 1901 წელს.

**პორტ-არტური**. მიღებულია ღონის-ძიება, თუ ხორველა შემოიტანეს, რომ იგი არ გავრცელდეს. მცხოვრებთა მჭიდროობის ასაცილებლად და ევროპიელების განსაცალკევებლად ჩინელთაგან, ეს უკანასკნელნი დასახლებულ იქმნენ მათთვის აშენებულს ჩინელთა ქალაქში. ძველი ბაზარი გადამწვარ იქმნა და აშენდა ახალი. ევროპიულის ქალაქის გაშენებას განაგრძობენ. მუშა ჩინელთა რიცხვი 55,000-ია.

**მელბურნი**. საფედერაციო მთავრობამ გადასწყვიტა არ მიემხროს ბრიუსელის ხელ-შეკრულობას შაქრის მრეწველობის შესახებ.

**ლონდონი**. მეფეს ეძინა 9 საათი. ჯანმრთელობას უკეთესობა ეტყობა ყოველ მხრივ.

**ტრავემიუნდე**. მეფე გაემგზავრა სამოგზაუროდ ჩრდილოეთად.

**ბერლინი**. „ფრ. გაზ.“ ცნობით, მალე უსკიუბში, ალბანიას, დაარსდება გერმანელთა საელჩო.

**პარიჟი**. საგიმნასტიკო ვარჯიშის დროს, ვენსენის ახლოს, სამხედრო მინისტრმა, პასუხად ნაციონალისტის რიშარის სიტყვისა, სთქვა. თქვენ ამბობდით ყველა ფრანგების შეერთებასა, ჩვენც გვსურს კეთილი ერთმანერთობა გვქონდეს ყველა კეთილსინიდისიერ კაცთან, გარნა მათთან, რომელთაც არჩევნების ჟამს ვალდეკ-რუსოს სამინისტროს უწოდეს უცხოთა გავლენის ქვეშ მყოფი სამინისტრო, მეგობრობა არა გვსურსო.

**აჯიკენტი**. მდინარე კოჩკარზე მოჰკლეს ჩასაფრებულებმა სამოლიციო მოხელე და ორი დარაჯი. დარაჯებმა მოჰკლეს ორი ავაზაკი. გამოირკვა ბოროტ-განზრახვით ავაზაკების დაფარვა ადასინელთაგან.

**მოსკოვი**. დღეს ბრონას ჩაიყარა საძირკველი შენობისა 1,000 სტუდენტის სასადილოს დასაარსებლად.

25 თიბათვე.

**ჰელსინგფორსი**. გაიხსნა ჩრდილოეთის ბუნების-მეტყველთა და ექიმთა კრება ლინდელევის თავჯდომარეობით.

**აჯიკენტი**. მაისსა და თიბათვის განმავლობაში სეტყვამ 23 სოფელი გააფუჭა ყაზახის მაზრაში.

**ლონდონი**. დღეს ჩემბერლენი მიდიოდა ორ-ბორბლიან ეტლით ვესტმინსტერიდგან „ათენეუმის“ კლუბში; ცხენი წაიქცა, ეტლი გადაბრუნდა და მინისტრი ეტლიდგან გადმოვარდა, რის გამო შუბლი მძიმედ დაუშავდა. დაჭრილი საავადმყოფოში მიიყვანეს და ჭრილობა შეუხვიეს.

**ლონდონი**. ჩემბერლენის დაშავებას დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ, ვინაიდგან იგი ერთი დღის მეტი არ დაჰყოფს საავადმყოფოში.

**ლონდონი**. დანამდვილებით იტყობინებიან რომ გვირავინის კურთხევა აგვისტოს 11-დგან—15-მდე მოხდება (მკათათვის 29—აგვისტოს 2-მდე).

**ხარაბინი**. რადგან ხარაბინში ჩინელთა შორის რამოდენიმე შემთხვევა იყო ხოლერისა, დაამწესეს სასანიტარო-აღმასრულებელი კომისია და გადასწყვიტეს მგზავრთა გასინჯვა.

**პარიჟი**. გუშინ რუსეთის ელჩმა თავადმა ურუსოვმა ბულგარიის თ-დის პატივსაცემლად საუზმე გაჰმართა.

**პეტერბურგი**. გენერალ-ლეიტენანტი ყაზბეგი დაინიშნა ვარშავის ციხის კამენდანტად, ხოლო გენერალ-მაიორი გუსაკოვი—ივანგოროდის ციხის კამენდატის თანამდებობის აღმასრულებლად.

„მთავრობის უწყებაში“ უმაღლესად დამტკიცებულია სახელმწიფო საბჭოს აზრი ლიფლიანდიის და ესტლიანდიის გუბერნიებში 1902—1904 წ. წ. დამატებით გადასახადების ხარჯთ-აღრიცხვისა და განაწილების შესახებ.

საკუთარის მათის უდიდებულესობის კანცელარიის საქმეთა გამგედ დაინიშნა ნამდვილი სტატსკი-სოვეტნიკი პოლოზოვი.

### პეტერბურგის ბირჟა, 21 ივნისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,10 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,70 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | — |
| ბირჟის დისკონტი | 4½—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 97 გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 99 მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 464½ წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 354½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 287 მყიდ. |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | 82¼ გაყ. |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 89⅝ გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 176 წვ. გაყ |

## განცხადება

**ტფილისის ქალაქის მმართველობა**

ამით იუწყება, რომ საჭიროა მისთვის სახლი ბელინსკის სახელობაზედ კუკიის სკოლისათვის, მეცხრე და მეათე პოლიციის უჩასტკაში, ეზოთი, სამზარეულოთი და სარაიით შეშისათვის. სახლი საჭიროა არა ნაკლებ [illegible] ოთახიანი, რომელთაგან სამი ოთახი უნდა იყოს ნათელი და დიდი, 9 არშინი სიგრძე და 10½ სიგანე, ან-და 13 არშინი და 9 გოჯი სიგრძე და 7½ სიგანე სიმაღლე ოთახებს უნდა ჰქონდეს 4 არშინი და 14 გოჯი.

(3—6.—3)

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში, ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

**თბილი გოგირდის აბანო**

**„ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“**

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანაოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო $37_{50}$ ც. ფასი მცირეა. კონკ [illegible] ქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

**ტელეფონი** № 555 (წლ.—6.)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

**ყოველის მხრიდან**

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა ფასი 10 კ.

და

**მოთხრობანი**

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

**წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | |
|---|---|
| სამწყემსო ამბები ეკ. გაბაშვილის | „ 30 |
| საქართ. ისტორია ბროსსე I-II ნაწ. | 1 40 |
| Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ | „ 60 |
| სალიტერატურო ქართული. სილიბ. ხუნდაძის გამოკვლევა | 1 მ. |
| მოთხრობანი დ. კლდიაშვილის | „ 30 |
| ყოველის მხრიდან. არბოლისა | „ 10 |
| [illegible], ვაჟა-ფშაველასი | „ 15 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა | „ 50 |
| ამბავი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | „ 15 |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი | „ 1 |
| ანტონი და კლეოპატრა, შექსპირისა | „ 5 |
| აბო ტფილელი, ე. კ. | „ 5 |
| Або Тифлисскій, Е. К. | |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ | „ 60 |
| გიორგი და მიხეილი | „ 10 |
| [illegible] | „ 60 |
| [illegible] | „ 25 |
| [illegible] წიგნი, [illegible] | „ 15 |
| [illegible] | 15 |
| მოგზაურობა [illegible] | 1 „ |
| Царица Тамара, М. Джанашвили | „ |
| მოძღვრებანი, [illegible] | „ |
| Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ | „ |
| ქართველთ წოდებანი, [illegible] | „ |
| შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა | „ 3 |
| ჩანგი, ვ. აბაშიძისა | 1 |
| ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა. | |
| კოპერნიკიდან დარვინამდე | „ 10 |
| კანდელი, მ. ღელაშვილისა | „ 15 |
| Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К. | 1 р. 50 к. |
| უკვდავთა დადგებანი, მ. ჯანაშვილისა | „ 15 |
| მეცნიერებისთვის წამებულნი | 1 „ |
| Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева | 1 50 |
| ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა | „ 10 |
| ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა | „ 30 |
| ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა | 1 „ |
| Характеристики и воспоминанія | |

ავჭალის ქუჩაზე, ყაფნის პირდაპირ,

**იაკობ ისარლოვის სახლში**

იძლევა ქირით მოწყობილი **ვენტილიაციებით** და **წყალით**

**ღვინის დიდი სარდაფი,**

სადაც ეტევა სამოცი ბოჩკა ღვინო დაზაფხულობით სითბო 14 გრადუსს არ აღემატება.

იქვე ქირით იძლევა ერთი მაღაზია.

(3—369—2)

ლორისა და დმანისის შორის, სადაც ნადირობა დაიწყო.

გაგიდგან გაქცეული მტერი მივიდა გელაქუნს, სადაც მას შეუერთდა სულთან არსლანი. აქედგან ისინი გაემართნენ ანისკენ. აქ მათ შეუერთდა კიდევ შაჰერმანის ჯარი. მტრების რიცხვი 50,000-მდე იყო [22]). ანის ციხის უფროსი თორელი მაგრა დაუხვდა გარეშემორტყმულს მტერს და დიდის მოხერხებით იცავდა მისგან ქალაქს.

მტერთაგან ანის ქალაქის გარემოცვა შეიტყო გიორგი მეფემ ლორისა დ დმანისის შუა მყოფობის დროს, როდესაც მასთან მივიდა სულთან არსლანის მოციქული. ამ მოციქულმა კარგად დაათვალიერა მეფის ძალ-ღონე და ყველაფერი მტერს შეატყობინა. მტერი მაშინვე გამოემართა გიორგისკენ ღამით და განთიადისას მივიდა მოულოდნელად მეფის ბანაკთან, სადაც ყველას ეძინა. შეიტყეს თუ არა მტრის თავდასხმა, ქართველები მოახტნენ ცხენებს. გიორგის უნდოდა შებრძოლებოდა მტერს, მაგრამ ამირსპასალარმა ივანე ორბელიანმა და სხვა დიდებულთა თითქმის ძალად წამოიყვანეს, რომ გადაერჩინათ აუარებელის მტრისაგან. გამოქცეულს ქართველებს დაედევნენ მტრები. ქართველები გზა-გზა უცებ გაჩერდებოდნენ ხოლმე და ბრძოლას უწევდნენ მეტად დაწინაურებულს მტრის რაზმებს, რითაც ბევრს აზიანებდნენ მათ. ბოლოს იმისთანა ადგილს მოაწიეს, სადაც შეიძლებოდა გაჩერება და მტრის დახვედრა. მტრებმა რომ ვერაფერი დააკლეს ქართველებს, უკან გაბრუნდნენ. შესანიშნავი ის არის, რომ ქართველებმა ამ უკან დაწევის და მტრების მოგერების დროს დაჰკარგეს მხოლოდ ორი კაცი: ჯვარის მტვირთველი ქანიძე და ერთი უბრალო აზნაური.

ანის ქალაქის მფლობელთა ჩამომავალნი არ ისვენებდნენ და ცდილობდნენ საქართველოს წინააღმდეგ მოსაზღვრე მუსულმანთა მფლობელების აღძვრას თავიანთ ძველის სამფლობელოს დასაბრუნებლად. გიორგი მეფე ხედავდა, რომ იმათი დაწყნარება შეიძლებოდა მიფერებით და ძველის სამფლობელოს დაბრუნებით და ამიტომ ამჯობინა თავის ნებითვე ანის ქალაქი მიეცა შადადიანთა გვარის წარმომადგენელისათვის, თუ იგი მორჩილებასა და ერთგულებას შეჰფიცებდა. ამასვე სთხოვდნენ გიორგის ხორასნის სულთანი და ელდიგუზ ათაბაგი. გიორგის და რუსუდან დედოფალიც, ხორასნის სულთნის ნაცოლარი, მათთან ზავის შეკვრას და ანის საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტას ურჩევდა. გიორგიმ მისცა ანი ასლანს, მაჰმადის შვილს, რომელმაც მორჩილება და ერთგულება შეჰფიცა.

ამ ნაირად ჩამოვარდა მშვიდობიანობა, მაგრამ ეს მშვიდობიანობა არაფრად ესიამოვნებოდათ ლაშქარს და დიდებულთ, რომელნიც მიჩვეულ იყვნენ ლაშქრობით სიმდიდრის შეძენას. იმათ მოახსენეს მეფეს: „არა არს ღონე დარჩენისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა.“ მათ სათხოვრის დასაკმაყოფილებლად მეფემ ბრძანება გამოსცა, რომ მოელაშქრათ და მოერბიათ ტაოელთ, კლარჯთ და შავშთა ოლთისი და ბანი, მესხთა და თორელთა ყარსი და აშორნი, ამირსპასალარის ჯარს და სომხითართ მტკვრის მარჯვენა მხარე განჯამდის, ლიხთ იმერთ და ქართველთ განჯის ქვეით მტკვრის პირი ამიერ და იმიერ ხელთამდის, ერელთა და კახელთა ალაზნის შესართავით, ვიდრე შირვანამდის. ამ განკარგულების თანახმად ჯარმა მოილაშქრა და მოარბია აღნიშნული ქვეყნები და დაიკმაყოფილა თავისი სურვილი საშოვრისა.

ეს ლაშქრობა უნდა ყოფილიყო 1166 წ., როდესაც მუსულმანთ ისტორიკოსი იბნალათირი მოიხსენიებს, რომ ქართველები შევიდნენ არანში და განჯამდის მიაღწიეს, ბევრი მუსულმანი დახოცეს და მრავალი ქალი ტყვედ წაიყვანესო [23]).

როგორც უკვე მოთხრობილიდგან ჩანს, შირვანსა და დარუბანდს შუა გამუდმებული მტრობა იყო. დარუბანდელების წინააღმდეგ საქართველოს მეფეები ყოველთვის შველიდნენ მათ ერთგულს და მორჩილს შირვანის მფლობელებს, რომელნიც ნათესავობდნენ ქართველს მეფეებს. გიორგის მეფობაშიაც დარუბანდელთ გამოაძიეს შირვანის მფლობელი ასარათანი, რომელიც მოვიდა საქართველოში და შემწეობა სთხოვა თავის დედის ძმის შვილს გიორგის. გიორგი მეფემ შეჰყარა ჯარი, შევიდა შირვანში და მივიდა დარუბანდამდე, სადაც დაიპყრო მუსკურისა და შაბარამიის ქვეყნები და აიღო ქალაქი შაბურიანი. შემდეგ შირვანი ჩააბარა ასარათანს და დაბრუნდა უკან (1167 წ.).

შირვანითგან დაბრუნებულმა გიორგი მეფემ გაილაშქრა ბასიანში და მოარბია ეს ქვეყანა. მატიანის თქმით, გიორგი დრო გამოშვებით გზავნიდა თავისს ლაშქარს ხან ნახჩევნისკენ, ხან მასისისკენ და ღალვისკენ, ხან ბარდავისა და ბალყუნისკენ. ამნაირის ლაშქრობით მდიდრდებოდა თვითონ მეფეც და მისი ლაშქარიც. მეფე თავის მრავალს საჭურჭლეს ინახავდა უჯარმის ციხეში.

1174 წ., ვარდანის თქმით, გიორგიმ ჩამოართვა ანი მის მფლობელს ამირ-შაჰს და გამგებლად იქ დააყენა ამირ-სპასალარი ივანე ორბელიანი. ამის გაგებაზე თურქების სულთანი ალპარსლანი წამოვიდა ჯარით ანის დასაჭერად და აიკლო შირაქის ქვეყანა. ივანე ორბელიანი აპირებდა ქალაქის გადაცემას, მაგრამ მცხოვრებლებმა არ შეასრულებინეს მას ეს განზრახვა. მტერმა ვერ აიღო ქალაქი და იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო [24]).

დ. კარიჭაშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

[22] იბნალათირი (არაბელთ და სპარსელთ მწერალთა ცნობანი, „მოამბე“ 1897 წ. № XI, გვ. 11)

[23] იხ. „მოამბე“ 1897 წ. № XI. არაბელთ და სპარსელთ მწერალთა ცნობანი, გვ. 15.

[24] Additions p. 256.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 іюня 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე